სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

27 აგვისტო 2025

N 454/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრის 2024 წლის 6 დეკემბრის N2-870 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2025 წლის 22 აგვისტოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა შპს „კლიმატმა“ და ითხოვა შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R410A (HFC-32/HFC-125) – 3 900კგ; R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 500 კგ; დიფთორმეთანი (HFC-32) – 1 000კგ, აღნიშნული ნივთიერებების შესაბამისი CO2 ექვივალენტის რაოდენობის გადაცვლა R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) ნივთიერების CO2 ექვივალენტში, რაც შეადგენს R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 2 474 კგ-ს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შპს „კლიმატის“ 2025 წლის 22 აგვისტოს N8138 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრის 2024 წლის 6 დეკემბრის N2-870 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „კლიმატზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404610694) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

ა) 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 5 500 კგ;

ბ) R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 4 674 კგ;

გ) ქლორდიფტორმეთანის (HCFC-22) – 3 100კგ.“

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კლიმატს“.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კლიმატის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/454-21-4-202508271017

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE